ეროვნული ბიბლიოთეკა

# დროება

## სურათებიანი დამატება

გაზეთის № 142. კვირა, 28 ივნისი 1909 წ. დამატების № 25.



**დატყვევებული დედა,**
ქანდაკება სტეფანე ზინდინგისა.

# აწიოკება

კ. ს. ბარანცევიჩისა

## I

სტუდენტი ნატაშინი საუცხოვო ხასიათზე ადგა ამ დილას. არა-ჩვეულებრივ ღონეზე იყო.

„აი რას ნიშნავს ჯანსაღად იყო, სრულიად ჯანსაღად! — ფიქრობდა პირის დაბანის დროს, აკვირდებოდა რა თავის მძლავრ, მსხვილ-ძარღვებიან მკლავებს,— სწორედ ჩინებულ ხასიათზე ვარ, გავისეირნო მაინც საითმე“.

მღეროდა ახალ ვალსს. ტანთ ჩაიცვა სამაგალითოდ დაუთოებული მაღალ — საყელოიანი ხალათი, რომლის საყელო ნიკაპს სწვდებოდა, კოხტა ტუჟურკა სტუდენტ ტეხნოლოგისა, ლამაზ ეპოლეტებით, რომელიც მსხვილ ასოებით იყო სირმისაგან ამოზურთული და სუფთა ლურჯი, პაჰინაგით მორთული შარვალი, რომელიც ჟანდარმის აფიცერსაც კი შეშურდებოდა. ნატაშინი გამოეწყო. ზარი დარეკა. შემოვიდა სასტუმროს მოსამსახურე — ქალი, ახალგაზრდა, ფერმკრთალი, შავ ტანისამოსსა და თეთრ – წინ საფარში გამოწყობილი. თავზე კოშკივით ჰქონდა თმა ამართული.

— კატია, თუ ვინმემ მიკითხოს, მე მთელ დღეს სახლში არ ვიქნები. ეს ბარათი შავ თვალწარბას გადაეცი.... იცნობ შავთვალწარბას?

— ვიცნობ! — ტუჩებზე ღიმილმა ვაურბინა

— კატია, შენ დღეს როგორღაც მხიარული, მიმზიდველი ხარ! აი მზეც, დასწყევლოს ღმერთმა, რა კარგი უნდა იყოს ეხლა ნევსკის პროსპექტზე.

ბარათი გადასცა მოსამსახურე ქალს. გავიდა კორიდორში. აქ პალტო მოაწოდეს. ერთს წუთს შეჩერდა სარკის წინ, თვალი გადაავლო თავმომწონე მაღალს, ვაჟკაცურ ტანს და პატარა, კოხტად ზევით აცქვეტილ ულვაშებს. მერე დაეშვა კიბეზე და გავიდა ქუჩაში.

## II

ნევსკი პროსპექტი თეთრად ბზინავდა. წინაღამის მოსული და მთვარეზე გამშრალი თოვლი ვერცხლისებური იყო. ჩუმის ზუზუნით, ზედიზედ მისდევდნენ ერთმანეთს ტრამვაის ვაგონები და ელვასავით ნაპერწკლებს ყრიდნენ მისი მავთულები. ნაირ-ნაირი საკუთარი მარხილები მისრიალებდნენ და ფანტავდნენ გარეშემო თოვლის გუნდებს. პროსპექტზე გამოსულებს ველარ იცნობდით: რაღაც ახალი, მხიარული, სიცოცხლით სავსე იყო მათი ყინვისგან გაწითლებული სახე.

ნატაშინი ნელა მიაბიჯებდა პროსპექტის მზიან მხარეზე, თვალებს ათამაშებდა მთელი გულით სუნთქავდა სუფთა ჰაერს. ყოველ წუთს ხვდებოდა ლამაზ ქალებს, რომელთაც ყინვისაგან ლოყები აწითლებოდათ. ისინი ისე გამოიცქირებოდნენ შლაპებისა და ტყავის ქუდები ქვეშიდან, თითქოს ნაცნობები ყოფილიყვნენ: ნატაშინი მათ უღიმოდა, ხან თვალსაც ჩაუკრავდა ხოლმე. და მართლაც მას მოეჩვენა ერთი ნაცნობი სახე, ნაცნობი თუ არა ისეთი მაინც, რომელიც ძალიან ჰგავდა ლიუბა ილინსკაიას, კურსისტკას მის ამხანაგის ვოლნოვის მეგობარ ქალს.

„ის არის თუ არა, — ეჭვობდა ნატაშინი, როდესაც გვერდით ჩაუარა ახალგაზდა ქალს. — მზადა ვარ სანაძლეო დავდო, რომ ეს ლიუბაა და არა სხვა ვინმე, მაგრამ მაკვირვებს ეს მდიდრული კოფთა, ტყავის ქუდი. ეშმაკმა იცის, რა არის!

ნატაშინმა გაიარა ხიდი და შეუხვია ლეინერისკენ. რესტორანი ხალხით იყო გაჭედილი. ბუფეტის ფიცრის წინ იდგნენ ბევრნი, რომელნიც ფეხზე ხელ და ხელ სვამდნენ, საუზმობდნენ. მწვანე საფარიანი ხელზე მოსამსახურენი გარბოდნენ სადღაც და შემდეგ ბრუნდებოდნენ საჭმლებით სავსე თეფშებით. ნატაშინი მიუჯდა სუფრას, შეუკვეთა საუზმე და თან სულ იმ ნაცნობ სახეზე ფიქრობდა. ოდესღაც უყვარდა ლიუბა და იმისაგან თანაგრძნობას ეძებდა, მაგრამ ახალგაზრდა ქალი დინჯი და თავდაჭერილი იყო. მან სტუდენტების ერთ ბალზე მტკიცე უარი უთხრა — მე თქვენის რომანის გმირი არა ვარო მისი გმირი ალექსეი ვილნოვი იყო, უნივერსიტეტის სტუდენტი, დაფიქრებული, გონიერი ადამიანი და მასთან პარტიული. იმის ბინაზე მუდამ კრებები იმართებოდა მუშებისა, თვითონაც რაღაც კრებებს არ აკლდებოდა.

შეუძლებელია, რომ ლიუბა იყოს! რა ეშმაკი წამოიყვანდა პროსპექტზე სახეტიალოდ! მაგრამ საოცარი მსგავსებაა! მოდი და ამის შემდეგ ამტკიცე, რომ ქვეყნად ორი ძალზე მსგავსი ადამია არ მოიპოვებაო?

დიდის ხალისით მიირთვა რაღაც მატლეტი, ზედ მიაყოლა ნახევარი ბოთლი ღვინო, გაუსწორდა და გამოვიდა ქუჩაში მზე წინანდელზე უფრო აფრქვევდა სითბოს, მოსეირნე ხალხიც მეტი იყო, ნატაშინმა გაიარა კვლავ ხიდი, თან მაღაზიებს ათვალიერებდა. უცბად შედგა.

წინ მოდიოდა ნაცნობი ქალი, თავს მარჯვნივ ან მარცხნივ მიიბრუნებდა, უტიფრად აცქირდებოდა თვალებში გამვლელ გამოვლელს. ეხლა კი მიხვდა რომ ქალი ლიუბა ილლინსკაია იყო. გაბედული, სჩქარის ნაბიჯით მიუახლოვდა.

—გამარჯვება ქვენი!

ქალმა ცოტად უკან დაიწია· შიშის ძრთოლვამ გაირბინა იმის უფერულ, მაგრამ ლამაზ სახეზე.

— ვერა მცნობთ?

— როგორ არა გიცანი. თქვენ ნატაშინი ხართ, არა?

— თქვენ კი ლიუბა ალექსანდროვნა ილლინსკაია. აი, ნამდვილი სასწაული!

— მხიარულად, გულწრფელად ხითხითებდა ნატაშინი, ხელში მისი პატარა და ცივი ხელი ეჭირა.

ქალმა უნებურად და უფერულად გაიღიმა.

— რაა სასწაული?

— აი რა: მე თქვენ შეგხვდით, ბუნება მშვენიერია, მზეც, ერთის სიტყვით, ნამდვილი ბედნიერებაა.

რაღაც საშინელმა ნაღველმა დაჰფარა ქალის სახე, გაფითრდა.

— ვოლნოვი, როგორღაა? ხმა მაღლა ეკითხებოდა ნატაშინი და არ აქცევდა ყურადღებას იმას, ყურს უგდებდა ვინმე თუ არა. თან გვერდზედ მიჰყვებოდა ახალგაზდა ქალს.

— ალიოშა აღარ არის! ყრუდ მიუგო მან, უეცრად შედგა და თვილი თვალში გაუყარა ნატაშინს.—თქვენ სეირნობთ?

— ვსეირნობ!—მოკლედ და თვალმაქცურად მიუგო ნატაშინმა.

— მეც ვსეირნობ!-უგულოდ გაიცინა ილლინსკაიამ.

— ძალიან კარგი, გავისეირნოთ!-შესძახა ნატაშინმა.

— არა, კმარა!-მხრების აწევით უპასუხა ქალმა

— როგორ, ახლა არ გამოხვედით სასეირნოდ?!

— არა დიდი ხანია... მომბეზრდა.

მხოლოდ ეხლა შენიშნა ნატაშინმა, რომ ილლინსკაიას ფარღალა კოფთა ეცვა, რომელშიაც სიცივით კანკალებდა 12 გრადუსიან ყინვაში, ხოლო განიერ ყურებიანი ქუდი, რომელიც მარტო თავის ქალას ჰფარავდა, ვერ იცავდა სიცივესგან და თავისუფალ ადგილს აძლევდა სუსხიან ქარს სასეირნოდ-

— ღმერთო ჩემო, თქვენ გაყინულხართ! უთუოდ ძლიერ შეგცივდებოდათ?

— დიახ, შემცივდა... გავიყინე!

— მე სეირნობას გთხოვდით, მაგრამ უმჯობესია სადმე თბილ ადგილს მივიწვიოთ... გათბებით.

— დიახ, ეს უმჯობესია, გადაკვრით გაიღიმა ქალი.

— გნებავთ, პალკინთან შავიდეთ ცალკე კაბინეტში... წინაღმდეგი ხომ არ ხართ.

— არა.

რა წამს ეს სიტყვა წარმოსთქვა ქალმა, ნატაშინი სიხარულმა მოიცვა. .

უცნაური ტანისამოსი, შეიძლება მისიც არ იყოს... დიდი ხანია აქ დასეირნობს... ვოლნოვი აღარ არის... ადვილად დამთანხმდა კერძო კაბინეტში წასვლას — გათავებული საქმეა. გაკვირვებით შეჰხედა ილლინსკიის, დაუძახა მეეტლეს და ორივენი ეტლმა გაიტაცა.

## III

— მიამბეთ, როგორ მოხდა ყველაფერი ეს? ღვინოს რად არა სვამთ?

— ჯერ კიდევ არ მივჩვევულვარ.

— ილლინსკაიამ აილო მადერით სავსე ჰიქა და სანახევროდ დასცალა.

— მოხდა ის, რაც მოსალოდნელი იყო! ბრძოლაში ან გაიმარჯვებ ან დამარცხდები! ჩვენ დაგვამარცხეს და დაგვიწყეს აწიოკება. რა საჭიროა ამაზე ლაპარაკი!

— ალექსი სტეპანიჩი სადღაა?

— ჩვენსა სულ ჩხრეკა იყო: — სიცოცხლე მოგვიწამლეს, შემდეგ ალიოშა დაატუსაღეს. დაპატიმრებული მეც ვიყავი, მაგრამ ცოტა ხანს. ალიოშა ერთი წელი იჯდა ციხეში და შემდეგ ნარიმსკში გადაჰკარგეს...

— კაცმა მართალი უნდა სთქვას, გაუფრთხილებული კაცი იყო.

— ტყუილია, — სხვებზე ნაკლებ არც ისა ფრთხილობდა. ძაღლის თავი აქ არ არის დამარხული. ვიმეორებ კიდევ: დავმარცხდით და ჯავრი ამოიყარეს ჩვენზე. ჩვენ რომ გაგვემარჯვნა მაშინ...

— ვითომ მაშინ რა იქნებოდა?

— ამოვიყრიდით ჯავრს; ასეც უნდა იყოს... მე ძლიერ მომეწონა ეს ღვინო, კიდევ დაასხით!

ნატაშინმა ბოთლს ხელი სტაცა, ჰიქის პირს დაუახლოვა: ხელები უკანკალებდა და ტანში ჟრუანტელი უვლიდა ვნებათა ღელვისაგან. ქალი არ ეწინააღმდეგებოდა. ნატაშინი მოიქცა ისე, როგორც იქცევიან ასეთ შემთხვევაში: გაავსო ჰიქა ღვინით და უცბად გადაჰკრა...

— თქვენ ძლიერ მჭერმეტყველობით... რად არა გსურთ, მიამბოთ თქვენი თავგადასავალი!

— თქვენთვის საინტერესო არ არის.

— მაკვირვებს, რად დაგჭირდათ ეს სიტყვები! თქვენ შეურაცხმყოფთ მაგით.

— მე თქვენი შეურაცყოფა სრულიადაც არა მსურს. მერწმუნეთ, სრულს სიმართლეს გეუბნებით. თქვენ ისე შორსა ხართ იმასგან, რითაც ჩვენ ვსცოცხლობდით, რომ... სჯობია შევსწყვიტოთ ამაზე ლაპარაკი...

ნატაშინმა მხრები შეიშმუშნა, დაასხა ღვინო და ზედი-ზედ გადაჰკრა იგრძნო, რომ ღვინო ერეოდა.

— გარეშე იმ უმთავრეს მიზნისა, რითაც ვსცოცხლობდით ჩვენ, ნელა და გულამოსკვნით დაიწყო ილლინსკაიამ, თან ტუჩებს ღვინით ისველებდა, — ჩვენი წრე, მე ეხლა სიამოვნებით ვრწმუნდები, რომ ის პირები, რომელთაც ჩვენ შეხედულებასთან საერთო არა აქვთ რა; სხვა და სხვა მიმართულების ადამიანები პატივისცემით გვეკიდებიან.. რად მიცქერით აგრე, საყვარელო ყმაწვილო? ან შეიძლება დარწმუნდით, რომ მე თქვენ გადაკვრით შეგეხეთ? დიახ, მე თქვენზე ვამბობ: მე ხომ კარგად ვიცი, რა თვალითაც უცქეროდით ქალებს. ვიცი, როგორ ყურჩამოყრილი ბრძანდებოდით სტუდენტთა ბალებზე, ხოლო სიხარულით გარბოდით „იმ მანდილოსნებთან“. მე მიამბეს, როგორ გეჭირათ თავი „იმ მანდილოსნებთან“, როგორ აღვირ წახსნილად და, უფრო მეტი, უზრდელად იქცეოდით. აი მე ერთ „იმ მანდილოსთაგანი“ ვარ. თქვენ ეს რასაკვირველია, უკვე იცით: ასე რომ არ იყოს, რას გაბედავდით მოგეწვიეთ აქ, მე ლიუბა ილლინსკაია! მაშ რაღა გაწუხებთ! რა შიში გაძევთ სახეზე? ზედი-ზედ ღვინოსა სვამთ, რომ გაიმხნევოთ თავი. მაშ უფრო გამხნევდით! მეტი სიმხნევე! თქვენ სწავლება არ გჭირდებათ, როგორ უნდა მოექცეთ „ჩემისთანა მანდილოსნებს“

— სიცრუვეა! — შესძახა ნატაშინმა!

— რაა სიცრუვე?

— რომ თქვენ, ლიუბ... ლიუბა ალექსანდროვნა... იმიტომ დამთანხმდით... არა მჯერა! ეს რაღაც მხეცური, უაზრო... რისთვის?! რად?! რამ გაიძულათ? თქვენ, წმინდა, მტკიცე ხასიათის ადამიანი, რომელიც ასე გულწრფელად, უიმედოდ მიყვარდა, ვერ გამემჟღავნებინა მისთვის ჩემი გულის ნადები... მეკრძალებოდა, ვაი თუ თქვენი გულის წყრომა დამემსახურებინა, რადგან უგვანო... არა რაობა. უღირსი... ბურჟუა ვარ!

ხელები სახეზე მიიფარა და ამ ყოფაში დაჰყო ერთ წუთს, მერე სტაცა ხელი ბოთლს, ჰიქაში ღვინო ჩაასხა და განგებ დაპრანჭულ პირის სახეზე ორი ცრემლი ჩამოცურდა.

— კმარა, დამშვიდდით.

— ოხ! ღმერთო ჩემო, რა გულ ცივად ამბობთ! რასაკვირველია, თქვენთვის სულ ერთია! მე ვერ გავბედავ, სიყვარული გამოგიცხადოთ, თქვენ ხომ ვოლნოვი გიყვართ, ხომ ეხლაც გიყვართ?

ის სდუმდა და სივრცეში იცქირებოდა. მისი სახე რაღაც ცივ თა მძიმე სულთქმას შეეპყრო.

— ოხ, მე რომ იმედი მქონდეს თქვენი... შეიძლება განვლილმა დრომ ამოშალა თქვენის ხსოვნიდან... თქვენ ხომ



**სეპეხდარი,**
გილანის გუბერნატორი და რეშტ-კაზვინელ რევოლიუციონერთა მეთაური. სეპეხდარმა ბახტიარების ხანთან ერთად ალყა შემოარტყა თეირანს.

იმასთან ვერ წახვალთ... ძლიერ შორი გზაა... ფულებია საჭირო... მოუხერხებელია... და შეიძლება რამდენი'ე ხნის შემდეგ ყველაფერი გადაგავიწყდეთ და მე... რად მიყურებთ ასე მტრულად? თქვენ ფიქრობით; გაიღვიძა ჩემში ბურჟუას ინსტიქტმა, შურის ძიებამ, ცხოვრების გარყვნილებამ, მინდა ვისარგებლო შემთხვევით და სხვას შევეცილო, თავი ძალით შეგაყვარო... თუნდაც ასე — როგორც გინდათ, ისე იფიქრეთ ჩემზე... დამძრახეთ, რადგან ჩემთვის სულ ერთია: მე ჩემი ფასი შევიგნე, მაგრამ მე თქვენ მიყვარხართ, გაგიჟებით მიყვარხართ, გესმით ლიუბა? ისე ძლიერ, რომ მზადა ვარ ეხლავე თქვენ ფეხ ქვეშ სული განუტევო... ნუ დამწიხლავთ... ერთხელ მაინც გამიღიმეთ... ერთი სიტყვა მაინც მაღირსეთ... ყველაფერს ისე მივიღებ, როგორც სინამდვილეს.., თვითონ გამოვიგონებ... ოღონდ შენ ჩემი იყავ, იწამე ღმერთი, ნუ მიშორებ... მე უნდა მეკუთვნოდე... პატარა არა ხარ, იცი, რათაც წამომყევი აქ.. შენ ჩემი იქნები, სულ ჩემი, ჩემო ლიუბა!

ღვინით შეზარხოშებული ნატაშინი მღელვარე თვალებით მივარდა ქალს, ხელები მკლავებში ჩაჰკიდა, გულზე მიიყრდნო და მიუხედავად თავდავიწყებულ მჴეცურ ალტყინებისა, იგრძნო, რომ ხელში ეჭირა რაღაც უძლური, სუსტი საბრალო არსება.

სუსტმა ხმამ დამორჩილებულ ქალისა ყურში წასჩურჩულა:

— მშიერი ვარ... ორი დღეა არაფერი მიჭამია...

გ. კვ—ძე

# წვრილი ამბები

## არა ჩვეულებრივი ბავშვი

პელსინვანიის შტატში (ამერიკა) ქალაქ პიტსბურგში არა ჩვეულებრივი ბავშვი უნახავთ. ბავშვი სულ სამი წლისაა, მშვიდი ხასიათისა, მაგრამ თავის გაუმაძღრობით ყველანი განცვიფრებაში მოჰყავს. ჯონვერი, ასე ეძახიან ბავშვს, დღეში სჭამს რამდენსამე ჯამ წვენს, 7 გირვანქა ხორცს, რამდენსამე გირვანქა პურს, 5-6 კარგა მოზრდილ ქადას, კარგა ბლომა მწვანეულობას და სხვას. ეს ბავშვი საკვირველადაა გასუქებული, თავის სწორ ბავშვებთან არ ათამაშებენ, რადგან ეშინიანთ არ გაჭყლიტოსო.

## მართლ-მსაჯულებაც ასეთი უნდა!

„მატენი“ შემდეგ ამბავს გადმოგვცემს: „ამ რამდენიმე ხნის წინად ქალაქ კირდორფში მუშა გარდაიცვალა. გარდაცვალებულის ამხანაგების მინდობილობით, ერთმა მუშამ სიტყვა წარმოსთქვა. მან, სხვათა შორის, სთქვა: მშვიდობით, ძვირფასო ამხანაგო, ამიერიდან ველარა გნახავთო. ელზასის მოსამართლეებმა ამ სიტყვისათვის მუშა სამართალში მისცეს. მას ღვთის გმობას აბრალებდნენ. მოსამართლეების აზრით, მუშა ეკლესიის წინაამდეგ წავიდა, რადგან თავის სიტყვით უარჰყოო გარდაცვალებულთა აღდგომა. მოსამართლეებს ეს ბრალდება იქიდან გამოჰყავთ, რომ მუშამ სთქვა, „ველარ გნახავთო“, როდესაც, ქრისტეს მოძღვრებით, გარდაცვალებულს მეორედ მოსვლის დროს ნახავენო“.

## მოტყუებულ ქმრების სინდიკატი.

სტრასბურგის მახლობლად, პატარა ქალაქ ხიოშებში შემდგარა მატყუებულ ქმრების სინდიკატი. ხიოშების ერთ გაზეთის სიტყვით, სინდიკატს აზრადა აქვს შეაერთოს ცოლების მიერ მოტყუებული ქრმები, რომ საერთო ძალით ებრძოლონ თავიანთ ცოლებს. სხვათა შორის სინდიკატი თავის წევრებს იურიდიულ დახმარებას გაუწევს, რომ მოღალატე ცოლებს გაეყარნენ.



**სპარსელი რევოლიუციონერები.**

პირველი მარცხნივ **კესმანია**, შუაში—**მულზამ-სულთანი** (შთამომავლობით ქართველი), მარჯვნივ—**მირზა ალი-მამედ-ხანი.** ამათ დახმარებით ჩავიდნენ სპარსეთში კავკასიელი მებრძოლნი.

## ამერიკის ყოფილი პრეზიდენტი რუზველტი

ამერიკის ყოფილი პრეზიდენტი რუზველტი ამ ჟამად აფრიკაშია, სადაც იგი ლომებზე ნადირობს. აფრიკის შავკანიანებს ძალიან მოსწონებიათ რუზველტი და გადაუწყვეტიათ შესაფერ სახელის დარქმევა. რუზველტისთვის უკვე დაურქმევიათ „ბვანა ტულებო“, ე. ი. „დიდ მუცლიანი ბატონი“. ველურების აზრით, ამაზე საპატიო სახელი ქვეყანაზე არ არის.

## პრინცესსა კაფე-შანტანში

20 წლის პრინცესსა სალიხას, განსვენებულ იბრაგიმ-ფაშის ქალს, გადაუწყვეტია პარიზის ერთ-ერთ კაფე-შანტანში შევიდეს მომღერალქალად. ეგვიპტეს ვიცე-კონსულს უკვე გადაუცია ბრძანება, პრინცესსას ჩამაერთმევა ყველა ის უფლება, რომელიც მასა აქვს მინიჭებული. სალიხას ქმარი ჰყავს, მაგრამ იგი უკვე გაეყარა. სალიხას აგრეთვე ჩამოართვეს მამულები და ამის მაგივრად მისცემენ $6^1/_2$ მილიონ ფრანკს. ეგვიპტეს ეხლანდელი ქედივი სალიხას ბიძად მოჰხვდება.

რედაქტორ-გამომცემელი **ი. ხ. აგლაძე** ელექტრო-მბეჭდავი **მ. დ. კიკნაძისა**, ტფილისი, ელისაბედის ქ., № 17.